პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

კვირა, 26 ნოემბერი, 1950 წ. № 265 (8825). ფასი 20 კაპ.

საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის ხალხთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი. ღრმა კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია აგრეთვე იმ ცნობამ, რომ დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია კენჭს იყრის თბილისისა და სოხუმის საქალაქო საბჭოების დეპუტატობაზე.

## უახლოეს დროში დავამთავროთ ზამთრისათვის მზადება

ზამთარი მოახლოვდა. ცნობილია, რომ ყინვები, თოვლი და ქარიშხალი ერთგვარ სიძნელეებს უქმნიან მრეწველობას და ტრანსპორტს, მთელ სახალხო მეურნეობის ნორმალურ მუშაობას. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათანადო ღონისძიებათა დროულად განხორციელება იმისათვის, რომ ადვილად დავძლიოთ ეს სიძნელეები, უზრუნველვყოთ თითეული საამქროსა და საწარმოს მიერ გეგმების აუცილებლად შესრულება, სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლა. საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ **მეოთხე კვარტალში მრეწველობისა და ტრანსპორტის მაღალნაყოფიერ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული სამეურნეო წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, მომავალი წლის პირველ კვარტალში წარმატებით მუშაობისათვის ნიადაგის მომზადება.**

საბჭოთა წყობილებამ, წარმოების სოციალისტურმა სისტემამ ყველა პირობა შექმნეს წელიწადის ყველა პერიოდში საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის. ახლა მთავარია ის, რომ ბოლშევიკურად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ზამთრისათვის საწარმოების, მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების სანიმუშოდ მომზადებას. ცნობილია, რომ თუ მუშას ზამთრის პერიოდში შექმნილი არა აქვს ნორმალური მუშაობის ყველა პირობა, თუ საწარმოები და საამქროები რიგიანად არ არის გამთბარი, განათებული, სამუშაო ადგილი კარგად მოწყობილი, სათბობი, ნედლეული და დამხმარე მასალები წინასწარ მომარაგებული, ასეთ პირობებში ეცემა შრომის ნაყოფიერება, ფერხდება მუშაობა, საწარმოო დავალებათა შესრულება.

შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა საცხოვრებელი ბინებისა და საყოფაცხოვრებო-კულტურული ნაგებობების ზამთრისათვის მომზადებას. ეს კარგად აქვს შეგნებული ჩვენი საწარმოების სამეურნეო ხელმძღვანელთა დიდ უმრავლესობას. მოწინავე საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ გაზაფხულიდანვე იწყებენ მომავალი ზამთრისათვის მზადებას: საწარმოო კორპუსების შეკეთებას, სათბობის მომარაგებას, საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა რემონტს, სასაწყობო მეურნეობის წესრიგზე მოყვანას, ყველა პირობას ქმნიან ზამთარში ნორმალური, მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

წინა წლებთან შედარებით წელს ზამთრისათვის მზადება გაცილებით უკეთ მიმდინარეობს. მთელ რიგ საწარმოებში უკვე დაამთავრეს ზამთრისათვის მომზადება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის, ქარხანა „დაზგის“, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, თამბაქოს მეორე ფაბრიკის, ფანერის ქარხნისა და მრავალი სხვა საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ ყველა საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელი ერთნაირი პასუხისმგებლობით როდი მოეკიდა ზამთრისათვის მომზადების საქმეს. მაგალითად, თბილისის პლასტმასის ქარხნის საამქროებში ჩამტვრეულია მინები, დაუმთავრებელია ელექტროქვესადგურის რემონტი, შესაკეთებელია საპირფარეშოები; ქარხნის ახლახან შეკეთებულ სამედიცინო პუნქტის სახურავში კვლავ წვიმა ჩამოდის. თამბაქოს პირველი ფაბრიკის დირექციას ჯერ არ დაუწყია მუშათა საცხოვრებელი სახლების შეკეთება. ავჭალის ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხანაში დაუმთავრებელია საამქროებში მინების ჩასმა, ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლობის გამო შეუსრულებელია სავენტილაციო, გასათბობი და საკანალიზაციო სისტემების პროექტით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ავჭალის მუშის ქარხანაში შეუსრულებელია აბანოს, კლუბის, წითელი კუთხის, საბავშვო ბაღისა და გათბობის სისტემის სარემონტო სამუშაოები. მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში არ არის შეკეთებული საქვაბე მეურნეობა, არ შეუმოწმებიათ ქვაბები და ორთქლგამტარი ქსელი, არ შეუცვლიათ უვარგისი ელექტროგაყვანილობა. ქუთაისისა და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკებს არა აქვთ გასათბობი სისტემები და ამის გამო ზამთარში საამქროებს არ ათბობენ. ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟის“ დირექციას ოქტომბერში მოაგონდა ზამთრისათვის მომზადების საჭიროება, მაგრამ მას შემდეგაც იქ მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებიათ.

ზამთრისათვის მოსამზადებელი სამუშაოები ჯერჯერობით არც რკინიგზის ტრანსპორტზეა მთლიანად დამთავრებული. რკინიგზის მნიშვნელოვან კვანძებზე ამას წინათ მოწვეულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე ამ მხრივ ბევრი საგულისხმო ფაქტი გამოვლინდა. მართალია, რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელებმა აქტივის კრებების მიერ დასახული ღონისძიებების განსახორციელებლად თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს, მაგრამ საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ არ მოხდეს შეფერხება ტრანსპორტის მუშაობაში. **უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ტრანსპორტმა ზამთრის პერიოდში არათუ არ შეანელოს მუშაობის ტემპი, არამედ უფრო გაადიდოს ტვირთბრუნვა, მთლიანად დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება, კულტურულად მოემსახუროს მგზავრებს, ღირსეულად შეასრულოს რკინიგზელის დღეს დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა.**

ყოველი საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობა და პროფესიული ორგანიზაცია ვალდებული არიან მთლიანად განახორციელონ ზამთრისათვის მზადების საქმეში კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, სარემონტო სამუშაოების შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რემონტის ხარისხს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით, უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. **ეს აღფრთოვანება, პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა კიდევ უფრო გაძლიერდა ამ დღეებში, როდესაც საქართველოს მშრომელებმა გაიგეს, რომ მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადი, მშვიდობის დიდი მედროშე ამხანაგი სტალინი დათანხმდა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 57 საარჩევნო ოლქში.**

**კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აგრეთვე იმ ცნობას, რომ დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია თანახმაა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.**

ამ სასიხარულო ცნობებს საწარმოთა კოლექტივები, რკინიგზელები, მშენებლები ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ. დღითიდღე ფართოვდება არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მრავალმა საწარმომ ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის 33-ე წლისთავისათვის უზრუნველყო წლიური გეგმების შესრულება და ახლა მომავალი წლის ანგარიშში ამზადებს პროდუქციას. ასობით საწარმოს კოლექტივი არჩევნების დღისათვის წლიურ დავალებათა შესასრულებლად იბრძვის. მეშახტეები და მაღაროელები, დაზგათმშენებლები და მანქანათმშენებლები, მეტალურგები და რკინიგზელები, ფეიქრები და მკერავები, ყველა პროფესიის ადამიანები აორკეცებენ ენერგიას, რომ მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია მისცენ სამშობლოს, უფრო განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება.

მრეწველობისა და ტრანსპორტის სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ღირსების საქმეა უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში მშრომელთა ამ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას, უახლოეს ხანში დაამთავრონ ზამთრისათვის სანიმუშოდ მომზადება, თვითეულ საწარმოში, ტრანსპორტის თვითეულ უბანზე უზრუნველყონ მაღალნაყოფიერი შრომის ყველა პირობა.

## უდმურტეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
## უდმურტეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
## საკავშირო კ. პ. (ბ) უდმურტეთის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან უდმურტეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და ყველა მშრომელს უდმურტეთის ასს რესპუბლიკის შექმნის ოცდაათი წლისთავის დღესასწაულის დღეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა უდმურტი ხალხი მემამულურ-კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდმურტეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხის ძმური დახმარებით, დიდი წარმატებანი მოიპოვეს თავიანთი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. უდმურტეთში შექმნილია მსხვილი სოციალისტური მრეწველობა და დიდად მექანიზებული კოლექტიური სოფლის მეურნეობა. ამჟამად რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის პროდუქცია 40-ჯერ და უფრო მეტად სჭარბობს რევოლუციამდელი მრეწველობის დონეს. აღმავლობის გზით მიდის სოფლის მეურნეობა, დიდდება ნათესი ფართობი, იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

განუხრელად უმჯობესდება უდმურტეთის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება კულტურული დონე. საბჭოთა უდმურტეთი მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის რესპუბლიკა გახდა. ხორციელდება საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, შექმნილია 5 უმაღლესი სასწავლებელი, 25 ტექნიკუმი, მუშაობს 1.500-ზე მეტი კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოდანადგარი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამენ, რომ უდმურტეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ თავიანთი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის № 112 საარჩევნო ოლქი

## ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

### რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

24 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში შედგა თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის წევრებს გარდა სხდომას დაესწრნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის, ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის, სტალინის რაიონის პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიასახლისები და პრესის მუშაკები.

კომისიის სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. ბექაშვილმა.

— ამხანაგებო! — თქვა მან,—დღეს ჩვენი ოლქის ამომრჩევლებთან ერთად უსაზღვროდ აღფრთოვანებულია დედაქალაქის ყველა მშრომელი. ეს საერთო სიხარული გამოიწვია იმან, რომ ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თანხმობა განაცხადა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს № 112 საარჩევნო ოლქში. **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).**

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით სიტყვას იღებს პროფესორი გ. ზარიძე.

— ამ რამდენიმე დღის წინათ,—განაცხადა მან,—ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მოსამსახურეებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს დიდი სტალინის თანამებრძოლი. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი ბერია. ჩვენი რესპუბლიკის ყველა წარმატება, სამეურნეო და კულტურული აღორძინება განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ ბერიას სახელთან, საქართველოში მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდთან. ამიტომაც ჩვენ — ამომრჩევლები უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს განვიცდით ამხანაგ ბერიას თანხმობით. რითაც საშუალება გვეძლევა ხმა მივცეთ ჩვენს ძვირფას, საყვარელ ადამიანს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით პროფესორი გ. ზარიძე თხოვნით მიმართავს საოლქო საარჩევნო კომისიას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი ლავრენტი ბერია.

სიტყვა ეძლევა ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივის წარმომადგენელს, სალიანდაგო სამსახურის უფროსს ამხ. ვ. ჯავახიშვილს.

— ტრამვაელები მოუთმენლად მოელოდნენ ამხანაგ ბერიას თანხმობას. — განაცხადა ამხ. ჯავახიშვილმა.—ამხანაგ ბერიას ნდობამ ახალი საწარმოო მიღწევებისათვის აღაფრთოვანა ჩვენი კოლექტივი. დიდია ლავრენტი ბერიას დამსახურება ჩვენი რესპუბლიკის წინაშე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ჩვენი დედაქალაქის განვითარებისა და გამშვენიერების გრანდიოზული სამუშაოები. საქართველოს მშრომელებს ამიტომ უსაზღვროდ გვიყვარს მშობლიური ლავრენტი ბერია.

ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის წარმომადგენელი ივანე ზაველეცკი ლაპარაკობს იმ დიდ პოლიტიკურ აღმავლობაზე, რაც არჩევნებისათვის მზადებამ გამოიწვია სასწავლებელში.

— ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელი,—თქვა მან,—ძვირფასია არა მარტო საქართველოს მშრომელებისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისათვის. ჩვენ გვიყვარს ამხანაგი ბერია იმიტომ, რომ მთელ თავის ენერგიას და დიდ ორგანიზატორულ ნიჭს იგი დაუზოგავად ახმარს სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობას, დაუღალავად იბრძვის საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამხანაგები ვ. ჯავახიშვილი, ი. ზაველეცკი და შემდეგ სიტყვებით გამოსულნი—პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. შაყულაშვილი, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის დირექტორის მოადგილე გ. მაისაია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტი გ. ღლონტი თავიანთი კოლექტივების სახელით თხოვენ საოლქო საარჩევნო კომისიას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

არჩევნების დებულების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია ერთხმად იღებს დადგენილებას:

„რეგისტრირებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დასახელებული საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 112 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია საარჩევნო ბიულეტენში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 112 საარჩევნო ოლქში კენჭის საყრელად“.




24 ნოემბერს შედგა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 112 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. სურათზე: საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

## ზეიმი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აღფრთოვანებით დაასახელა დიდი სტალინის თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და სთხოვა მას თანხმობა — კენჭი იყაროს სტალინის რაიონის № 112 საარჩევნო ოლქში.

ინსტიტუტში მოუთმენლად მოელოდნენ ამხანაგ ბერიას თანხმობას.

და აი, 24 ნოემბერს მთელ ინსტიტუტში ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა: „ბერიამ თანხმობა განაცხადა!“ გაიმართა მიტინგი.

— ამხანაგებო, — ამბობს ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გ. ქომეთიანი,— ჩვენი ოლქის ამომრჩევლებს წილად ხვდათ ბედნიერება — ხმა მისცენ იმ ადამიანს, ვის სახელთანაც განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს სამეურნეო და კულტურული აყვავება, ვინც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უშუალოდ მეთაურობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებს, ვისი ხელმძღვანელობითაც განადგურებულ იქნენ გერმანელ ფაშისტთა ურდოები კავკასიის მისადგომებთან. ბედნიერი ვარ გაუწყოთ, რომ ყველასათვის დიდად საყვარელი ამხანაგი ლავრენტი ბერია დათანხმდა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში.

მქუხარე ტაშმა დაფარა ორატორის სიტყვები.

— საქართველოს ყველა დიდი მშენებლობა, — ამბობს ფიზიკის კათედრის ასისტენტი გ. ღლონტი, — დაკავშირებულია ამხანაგ ბერიას სახელთან. საქართველოს მშრომელებისათვის ამხანაგ ბერიას სახელი არის სიმტკიცის, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგულების, ბრძოლისა და გამარჯვების სიმბოლო. განუზომლად დიდია ამხანაგ ბერიას როლი საქართველოს ტექნიკური კადრების აღზრდის საქმეში. ჩვენი დღევანდელი ბედნიერება, — გამოწვეული ამხანაგ ბერიას თანხმობით კენჭი იყაროს ჩვენს ოლქში, — გაახარებს ყველა ჩვენს თანამემამულეს. ამხანაგ ბერიას ეს ნდობა და დაფასება ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს გვავალებს გავაძლიეროთ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა, რომ სამშობლოს მივცეთ მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სოციალისტური ინდუსტრიის ღირსეული მეთაურები.

— ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტებს, — გაისმის ტრიბუნაზე სამთო ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტის დ. ჩაჩიძის ხმა, — განსაკუთრებით გვიყვარს ლავრენტი პავლეს-ძე ბერია და უსაზღვროდ მოხარული ვართ, რომ ახალგაზრდობის ამ საუკეთესო მეგობარმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ჩვენს ოლქში. ჩვენ ვზეიმობთ ამ თანხმობას და სიხარულით მოველით არჩევნების დღეს.

აღელვებული სიტყვები წარმოთქვეს დოცენტმა ა. ძიძიგურმა და პროფესორმა პ. გამყრელიძემ.

— ამხანაგ ბერიას სახელი საყვარელი და მახლობელია ჩვენთვის—ქართველი მეცნიერებისათვის,—თქვა პროფესორმა პ. გამყრელიძემ, — ვინაიდან საქართველოში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ამხანაგმა ბერიამ ჩვენ შეგვიქმნა ნაყოფიერი შრომისა და სწრაფი წინსვლის ყველა პირობა. ამჟამადაც, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობის დროს, ამხანაგი ბერია, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და კომუნისტური პარტიის გამოჩენილი შვილი, შეუნელებელ მზრუნველობასა და დახმარებას გვიწევს ჩვენ. ამიტომ უდიდესი სიხარულით მივცემთ ხმას ამხანაგ ბერიას, ამით ხმას მივცემთ ჩვენი მეცნიერების წინსვლას, ჩვენი ხალხის წარმატებას, ჩვენი სამშობლოს აყვავებას.

მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივი, მქუხარე ტაშით იღებენ მისალმებას ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი.

## მაუდ-კამვოლის ფაბრიკამ შეასრულა წლიური გეგმა

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ნ. თუშიშვილი) წარმატებით გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება და მიაღწია მუშაობის მაღალ მაჩვენებლებს. ფაბრიკამ 20 ნოემბრისათვის შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა, 10 თვის განმავლობაში დაზოგა 107 ტონა ნედლეული და გეგმის გადამეტებით დაავროვა 10.200 ათასი მანეთი.

ახლა ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ფეიქრების ვალდებულებაა წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 ათას მეტრზე მეტი მზა ქსოვილი, ამასთან ზუსტად დაიცვან ასორტიმენტი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგი ლ. პ. ბერია
## რეგისტრირებულია სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დათანხმდა კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში, სოხუმის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. 24 ნოემბერს შედგა სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი შ. სიხარულიძე, ჩამწყობი საამქროს უფროსი ვლ. გადელია, სტახანოველი ვ. ჩიჩუა და ტექნოლოგი ალ. ყურაშვილი, რომლებმაც ილაპარაკეს ამხანაგ ბერიას განსაკუთრებულ დამსახურებაზე პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე და უდიდესი სიხარული გამოთქვეს იმის გამო, რომ ამხანაგი ბერია დათანხმდა კენჭი იყაროს სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა არჩევნების დღის — 17 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 17 მილიონი ცალი პაპიროსი, ხოლო წლის ბოლომდე ქვეყანას წლიური გეგმის გადამეტებით მისცეს 100 მილიონი ცალი პაპიროსი.

შედგა მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 1 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საწარმოთა კოლექტივების, პარტიული, პროფესიული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკთა წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ ამხანაგი ლავრენტი ბერია დათანხმდა კენჭი იყაროს სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივის წარმომადგენელს ფაბრიკის დირექტორს ამხ. პ. ჯოჯუას.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი, — ამბობს ამხ. ჯოჯუა, — უდიდეს სიხარულს განიცდის, ვინაიდან მან დაასახელა ამხანაგი ბერია სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ამხანაგ ბერიას თანხმობას ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი ახალი წარმატებებით უპასუხებს. ვთხოვ კომისიას რეგისტრაციაში გაატაროს ამხანაგი ბერია სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

ამხ. ჯოჯუას წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სოხუმის ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა ამხ. ი. ბოცვაძემ, დრამატიული თეატრის მსახიობმა ამხ. ვ. კვაჭაძემ, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა. კანდიდატმა ამხ. გ. ნადარაიამ.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა სხდომის მონაწილეებს მოახსენა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამება საარჩევნო დებულების მოთხოვნებს.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ქალაქ სოხუმის ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში.

პარტიული ცხოვრება

# მეტი ყურადღება მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის საკითხებს

ფოთის 24-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გრ. კოკაიამ.

— ქალაქის მრეწველობამ, — თქვა მომხსენებელმა, — მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულა. კარგი მაჩვენებლები აქვს წისქვილკომბინატს. სამი კვარტალის გეგმა აქ შესრულებულია 118,3 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 1,8 პროცენტით, გაწეულია 45 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია. ხორცკომბინატის კოლექტივი კვლავ ინარჩუნებს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას, რომელიც მას მიეკუთვნა 1949 წლის საწარმოო მაჩვენებლებისათვის. მოწინავეთა რიგებშია პურკომბინატიც. ფოთის ნავსადგურმა გადამეტებით შეასრულა ტვირთბრუნვის გეგმები. რკინიგზის სადგურმა 1 ოქტომბრისათვის ვაგონების დატვირთვის და გადმოტვირთვის ხუთწლიანი გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. კარგად მუშაობს დეპო.

ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კოლხიდის დაბლობის ამოშრობა 20.000 ჰექტარის რაოდენობით. 1 ოქტომბრისათვის ამოშრობილია 18.900 ჰექტარი, ანუ ხუთწლიანი გეგმის 94,5 პროცენტი. სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებით კოლხიდმშენმა მიმდინარე წლის 9 თვეში გასწია ნახევარ მილიონამდე მანეთი ეკონომია.

ლამაზდება და თანდათან კეთილმოწყობილი ხდება ფოთი. საანგარიშო პერიოდში ქალაქის კეთილმოწყობაზე უნდა დახარჯულიყო 4.678 ათასი მანეთი. 1 ოქტომბრისათვის შესრულებულია 5.486 ათასი მანეთის სამუშაო. გადამეტება მიღწეულია მოსახლეობის უფასო შრომითი მონაწილეობით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობას. კაპიტალურად შეკეთდა კომუნალური სახლები, აშენდა ახალი საცხოვრებელი ბინები, მოასფალტდა ქუჩები, რეკონსტრუირებულია ხიდი სადგურთან.

ამხ. კოკაიამ მკვეთრად გააკრიტიკა ქალაქის მრეწველობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. მაცივარი ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმებს ასორტიმენტის მიხედვით. სისტემატურად ვერ ასრულებენ გეგმებს აგრეთვე სამრეწველო კომბინატის სატრიკოტაჟო ფაბრიკა და ფეხსაცმლის სახელოსნო. კომბინატს აქვს 275.000 მანეთი დებიტორული და 480.000 მანეთი კრედიტორული დავალიანება.

წისქვილკომბინატში საჭირო ყურადღება არ ეთმობა მუშაობის ახალი მეთოდების დანერგვას, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხებს. ჭიანურდება სარკინიგზო სასწორისა და ახალი მთავარი ელექტრომოტორის დადგმა. ნავსადგურში დაუმთავრებელია ორი სანავსადგურო ამწის მონტაჟი, მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ზენორმატული ნაშთი და დებიტორული დავალიანება. კოლხიდის დასახლების ტრესტმა სახლების აშენების გეგმა წელს მხოლოდ 57 პროცენტით შეასრულა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე.

ქალაქში წელს მუშაობს 33 პოლიტსკოლა, ბელადების ბიოგრაფიების და პარტიის ისტორიის შემსწავლელი 55 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 1.459 კაცი. მარქსიზმ-ლენინიზმს დამოუკიდებლად ეუფლება 352 კაცი. ამხ. კოკაია განსაკუთრებით შეჩერდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა.

კონფერენციამ აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

შედგა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. გ. კოკაია, მეორე მდივნად—ამხ. ო. გაგუა, მდივნად—ამხ. ვერა უჩანეიშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

**ბ. მილიუტინი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# ხილის უხვი მოსავალი

**სტალინირი.** (საკ. კორ.). ოლქის სოფლებში მრავლად შეხვდებით ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ კოლმეურნეებს.

მიმდინარე წელსაც მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მზრუნველობით მოუარეს ხეხილის ბაღებს და კარგ შედეგსაც მიაღწიეს. ზნაურის რაიონის სოფელ ბეყმარის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ“ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ხილი მიიღო. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ბეყმარელმა მებაღეებმა ალექსი გერგაულოვმა და ლაფერ ჩხოევმა. დაწესებულ ნორმაზე ორჯერ მეტი მოსავალი მიიღო ამავე რაიონის სოფელ სუნისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ.

სტალინირის რაიონის სოფელ დმანისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ხილის მოსავლიანობის გადიდებას. აქ ხილის მოსავალმა ჰექტარზე 90 ცენტნერს მიაღწია. ხილის კარგი მოსავალი მიიღეს აგრეთვე კეხვის, ქურთის, ლენინგორის რაიონის იკოთის, წინაგარისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება

## დეპუტატობის კანდიდატთა წარმატება

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). თავდადებულად შრომობენ საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს წარჩინებული სტახანოველი ლენინის ორდენოსანი პავლე მიროტაძე, რომელიც მაღაროს კოლექტივმა ჭიათურის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა, ყოველდღიურ გეგმებს 250-300 პროცენტით ასრულებს. ამჟამად ამხ. მიროტაძე არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგას და ცვლაში სამშობლოს 40-50 ტონა მარგანეცს აძლევს.

მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს ლენინის ორდენოსანი მებიგე ქ. გაფრინდაშვილი და მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს სტახანოველი დურგალი არ. ჯაჯახიშვილი, რომლებიც საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები არიან. მარგანეცს გეგმის გადამეტებით იღებენ იმ მაღაროთა კოლექტივები, რომლებსაც საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები ამხ. აკ. ფხალაძე და გ. ბერიშვილი ხელმძღვანელობენ.

## იბრძვიან მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის

**ტყვარჩელი.** (საკ. კორ.). შახტებსა და უბნებში მაღალნაყოფიერი შრომაა გაჩაღებული. მეშახტეები ფართოდ აჩაღებენ შეჯიბრებას მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის. ახბილარას შახტის კოლექტივმა ნოემბრის ორ დეკადაში ათასობით ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღო. განსაკუთრებით დაწინაურდა ის უბანი, რომელსაც ინჟინერი კ. როსნაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის კოლექტივი საფუძვლიანად დაეუფლა ქვანახშირის ღია მოპოვების წესს და ნოემბრის ოც დღეში დავალება 170 პროცენტით გაანაღდა. ბულდოზერისა და ექსკავატორის მემანქანეები დ. ერაძე და კ. თოფურია საფუძვლიანად დაეუფლნენ აღნიშნული მანქანების სრული სიმძლავრით გამოყენებას და დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

ნოემბერში მაღალნაყოფიერად მუშაობენ სტალინის სახელობის შახტის მეორე, მესამე და მეხუთე უბნების მეშახტეები. ქვანახშირის ამღებთა ბრიგადები, რომლებსაც სტახანოველები ნ. პოპოვი და ვლ. გონგაძე ხელმძღვანელობენ, ასობით ტონა ზეგეგმით ქვანახშირს იძლევიან.

მოწინავე მეშახტეები ლ. ლატარია, ლ. ტყებუჩავა და ა. დოვჩენკო, რომლებიც მეშახტეებმა ტყვარჩელის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს, გამომუშავების დღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

## შრომითი აღმავლობა ფეროშენადნობთა ქარხანაში

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას ზესტაფონელი მეტალურგები ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ. არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებს ქარხნის სადნობი საამქროს კოლექტივი, რომელმაც ნოემბრის ორი დეკადის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და დიდძალი ელექტროენერგია დაზოგა. შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს ამ საამქროს მეორე ცვლის იმ ღუმელების კოლექტივებმა, რომლის ბრიგადირები არიან ს. კვინიკაძე, ვ. ხუჯაძე და დ. თორთლაძე.

მაღალნაყოფიერად მუშაობს მეოთხე საამქროს კოლექტივი. ამ საამქრომ ნოემბრის ორი დეკადის გეგმა 120 პროცენტით გაანაღდა და მხოლოდ პირველხარისხოვანი ლითონი გამოუშვა.

ასეთივე მაღალი მაჩვენებელი მოიპოვა მარგანეცის საამქრომაც, სადაც გეგმის დიდი გადამეტებით შესრულებასთან ერთად 14,5 პროცენტით შეამცირეს ელექტროენერგიის ხარჯი.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა პირობა დადეს 17 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური გეგმა.

## აგიტმხატვრული ბრიგადა არჩევნებთან დაკავშირებით

**ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით სარაიონო კულტურის სახლმა გამოჰყო აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელიც კოლმეურნეობებში აწყობს საგიტაციო საუბრებს, საღამო-წარმოდგენებსა და კონცერტებს.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ საღამოები გამართა სარგვეშის, სალანძილის, ლაშის და სხვა სასოფლო საბჭოებში.

ბრიგადას ხელმძღვანელობს კულტურის სახლის დირექტორი ამხ. ი. აბაშიძე.

# საგიტაციო-მასობრივი მუშაობა არჩევნებთან დაკავშირებით

მოახლოვდა 17 დეკემბერი — საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი დრო არჩევნებისათვის ყოველმხრივ მოსამზადებლად.

არჩევნების წარმატებით ჩატარებას ყოველთვის დიდად უწყობდა ხელს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში. ბოლშევიკური აგიტაცია ყოველთვის იყო ხალხთა ფართო მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საბრძოლველად მათი დარაზმვის მძლავრი საშუალება. მიმდინარე საარჩევნო კამპანიაშიც ბოლშევიკური, ქმედითი, საბრძოლო აგიტაცია მოწოდებულია დიდი როლი შეასრულოს ხალხთა უფართოეს მასებთან ბოლშევიკური პარტიის კავშირის უფრო განმტკიცების, არჩევნების წარმატებით ჩატარების, ახალი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის მიღწევის საქმეში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის ფართოდ გაშალეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებენ თბილისის სტალინის, მოლოტოვის, კიროვის, 26 კომისრისა და ორჯონიკიძის რაიონების, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და ჭიათურის საქალაქო, მახარაძის, ხაშურის, სიღნაღისა და ახალციხის რაიონების პარტიული ორგანიზაციები.

26 კომისრის რაიონში 50 აგიტპუნქტია შექმნილი. პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ შეადგინა აგიტპუნქტების მუშაობის სანიმუშო გეგმები და დაუგზავნა ისინი აგიტპუნქტებს. ამ გეგმებით გათვალისწინებულია არჩევნების თემებზე მოხსენებებისა და ლექციების გამართვა, ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად ექსკურსიების მოწყობა, კინოებსა და თეატრებში დიასახლისების კოლექტიურად დასწრების ორგანიზაცია. აგიტპუნქტები ამ გეგმის საფუძველზე მუშაობენ. რაიონში საარჩევნო თემებზე წაკითხულია 100-მდე მოხსენება და ლექცია, მოეწყო 140-ზე მეტი ექსკურსია და 53 კოლექტიური დასწრება კინოსეანსებზე და თეატრის სპექტაკლებზე.

ორჯონიკიძის რაიონულმა კომიტეტმა საარჩევნო კამპანიის დასაწყისშივე მოაწყო პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტატორთა თათბირი საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე. რაიკომმა გაითვალისწინა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების სირთულე და მოსახლეობაში აგიტაციის გასაძლიერებლად გაადიდა აგიტატორთა რაოდენობა. თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი არჩევნების დროს რაიონში 2 ათასი აგიტატორი მუშაობდა, ახლა 2.600 აგიტატორი მუშაობს. ამან საშუალება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს მოსახლეობის უფრო ფართო ფენები მოეცვათ ბოლშევიკური აგიტაციით. გაცილებით უფრო ეფექტიანი გახდა თვით აგიტაცია, გაიზარდა საუბრებზე მსმენელთა დასწრება და მათი აქტივობა. რაიონში 41 აგიტპუნქტია შექმნილი. ისინი უზრუნველყოფილი არიან საჭირო ლიტერატურით. თითქმის ყველა აგიტპუნქტს აქვს რადიო, ტელეფონი, ელექტროგანათება, გათბობა და ა. შ. აგიტატორები ყოველდღიურად მართავენ საუბრებს, აწყობენ დიასახლისთა ექსკურსიებს, კინოთეატრებში კოლექტიურ სვლას, ხელმძღვანელობენ კედლის გაზეთების გამოშვებას და სხვ. საარჩევნო თემატიკის მიხედვით ლექციებს კითხულობენ პროფესორები, დოცენტები და მასწავლებლები.

საარჩევნო უბნებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დროულად გაშლას დიდად შეუწყეს ხელი მუდმივმოქმედმა აგიტპუნქტებმა, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ არ შეუწყვეტიათ მუშაობა. ეს აგიტპუნქტები მთელი ზაფხულის განმავლობაში განაგრძობდნენ მუშაობას, და როგორც კი გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ, ისინი მაშინვე შეუდგნენ მუშაობას საარჩევნო თემატიკის საფუძველზე. განსაკუთრებით კარგად მუშაობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობაში მოთავსებული მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი, რომელსაც დოცენტი აკ. აფხაიძე ხელმძღვანელობს. აგიტპუნქტში სისტემატურად ეწყობა აგიტატორთა სემინარი. კარგად მუშაობენ აგიტატორები ნინო ყიფიანი, ქეთევან ხუროშვილი და სხვ.

ექიმი თამარ ბახტაძე აგიტატორად მუშაობს მცხეთის ქუჩაზე მცხოვრებ დიასახლისთა შორის. ამხ. ბახტაძე ყოველთვის გულმოდგინედ ემზადება საუბრისათვის, იყენებს გაზეთებსა და ჟურნალებში დაბეჭდილ მასალებს, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს. ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ ამხ. ბახტაძემ 10 მეცადინეობა მოაწყო. მისი საუბრები დამაჯერებელი და მიმზიდველია. ამიტომ მის საუბრებს მსმენელები ყოველთვის კარგად ესწრებიან და დიდი ინტერესით უსმენენ.

ქუთაისის რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია დროულად შეუდგა ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაშლას. მთელი რიგი აგიტპუნქტები სანიმუშოდ მუშაობენ. სოფელ ზემო ქვიტირის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი (გამგე ალ. ჭეიშვილი) მოთავსებულია დიდსა და ნათელ ოთახში, მორთულია მიმზიდველად, უზრუნველყოფილია საარჩევნო ლიტერატურით, ახალი გაზეთებით. აგიტპუნქტში შემოღებულია აგიტატორთა მორიგეობა, ამომრჩევლებისათვის სისტემატურად იმართება საუბრები, მოხსენებები და ლექციები, გამოდის კედლის გაზეთი „ამომრჩეველთა ხმა“, აგიტატორებისა და წამკითხველ-მესაუბრეებისათვის სისტემატურად ეწყობა სემინარები.

მაგრამ ასე როდი მუშაობს ყველა აგიტპუნქტი. სოფელ ზემო გეგუთის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი (გამგე ს. ფხაკაძე) სრულიად მოუწყობელია, არა აქვს საჭირო ლიტერატურა, აქ არ იმართება აგიტატორთა სემინარები. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ზოგი აგიტატორის საუბარი ზერელეა და მსმენელებს არ იზიდავს. აგიტატორმა ალ. ხენგავამ საუბრის დროს ამომრჩევლის შეკითხვაზე — რას ნიშნავს დემოკრატიული არჩევნებიო, უპასუხა: „დემოკრატიული არჩევნები — ეს საერთაშორისო არჩევნებიაო“. სოფელ ოფშკვითის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტს ერთხელაც არ მოუწყვია ამომრჩეველთათვის ლექცია და მოხსენება, ექსკურსია და კინოსეანსის ჩვენება. პარტიული ორგანიზაციის მიერ აგიტატორებად გამოყოფილ მასწავლებლებს ს. ღლონტს, ვ. კალმახელიძეს და ქ. მარგველაშვილს არც ერთი საუბარი არ მოუწყვიათ ამომრჩეველთა შორის. ასევე სუსტად არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფელ კვახჭირში. აქ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილისათვის სრულიად არ აწყობენ საუბრებსა და მოხსენებებს.

მსგავსი ნაკლოვანებანი სხვა რაიონებშიც არის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაძლიერებლად.

არჩევნების წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო უბანში საგიტაციო მუშაობის ხარისხს. საარჩევნო უბნების აგიტპუნქტები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ.

არჩევნები ჩატარდება მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. ამიტომ აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ფართოდ და ყოველმხრივ უნდა განუმარტონ მუშებს, კოლმეურნეებს, მოსამსახურეებს, ინტელიგენციას, მთელ მოსახლეობას ჩვენი კონსტიტუციის დიადი პრინციპები.

მთელი ჩვენი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრისათვის, მასების მობილიზაციის ინტერესებს.

ამხანაგმა სტალინმა 1946 წლის 9 თებერვალს თავის სიტყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა დასახა. ეს პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალ, მძლავრ აღმავლობას, 1940 წლის დონესთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის ერთისამად გადიდებას. პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა გულმოდგინედ უნდა განუმარტონ ამომრჩევლებს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის არსი, ის დიდი მუშაობა, რასაც პარტია ეწევა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ისტორიულ დადგენილებებს მდინარე ვოლგაზე კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელსადგურების, თურქმენეთის მთავარი არხის, მდინარე დნეპრზე კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხის მშენებლობის შესახებ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამგორის სარწყავი სისტემისა და მასთან დაკავშირებული ჰიდროელსადგურების მშენებლობას, რასაც მთელი ქართველი ხალხი ახორციელებს. ასეთი მშენებლობანი შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც კომუნიზმი და ხალხი შეერთდა ერთ უძლეველ ძალად, ქვეყანაში, რომელიც დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

ჩვენმა საგიტაციო-პროპაგანდისტულმა მუშაობამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განსახორციელებლად მასების დარაზმვას, მათი პოლიტიკური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას, რაც დააჩქარებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა განიხილა დიდი სტალინის ინიციატივით შემუშავებულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 25 აპრილისა და 5 ოქტომბრის დადგენილებების შესრულების ღონისძიებათა საკითხი. ამ საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ქ. ჩარკვიანის მოხსენება. პლენუმმა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებსა და მშრომელებს გაშლილი საბრძოლო პროგრამა დაუსახა მარცვლეულის მეურნეობის, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში.

პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განმარტება და მათი ვადამდე განხორციელებისათვის მშრომელთა დარაზმვა აგიტატორებისა და პროპაგანდისტების მოვალეობაა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად უნდა გამოვიყენოთ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ყველა საშუალება: პრესა, წინასაარჩევნო მიტინგები, ამომრჩეველთა კრებები, კედლის გაზეთები, გამოფენები, თვალსაჩინო აგიტაცია, საუბრები, პოლიტიკური მოხსენებები, ლექციები, ხმამაღლა კითხვა, ექსკურსიები, მხატვრული თვითმოქმედება, კინო, რადიო.

საჭიროა ფართოდ მოეწყოს საბჭოთა სახელმწიფოს მიღწევების, ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ისტორიული გამარჯვებების, ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კინოფილმების ჩვენება მოსახლეობისათვის.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა უნდა მოეწყოს ამომრჩეველთა პოლიტიკური და კულტურული დონის გათვალისწინებით. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშაობას ახალგაზრდებთან, რომლებიც პირველად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა ახალგაზრდა ამომრჩეველმა კარგად იცოდეს საბჭოთა საარჩევნო კანონი, სტალინური კონსტიტუცია, საბჭოთა მოქალაქეების უფლება-მოვალეობა, ჩვენი ქვეყნის დიადი მიღწევები, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

სსრ კავშირში ქალები უზრუნველყოფილი არიან მამაკაცთან თანაბარი უფლებით პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. დიასახლისებს გულდასმით უნდა შევასწავლოთ დებულება არჩევნების შესახებ, მოვაწყოთ მათთვის საუბრები პოლიტიკურ თემებზე და ლექციები სამეცნიერო-საგანმანათლებლო საკითხებზე.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დიდი მოვალეობა ეკისრებათ პარტიულ კაბინეტებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კლუბებს, კულტურის სახლებს, სამკითხველოებს. ისინი უნდა გახდნენ აგიტაციისა და პროპაგანდის მძლავრ კერებად, სისტემატურად უნდა აწყობდნენ ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს, კონსულტაციებს არჩევნებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე.

საარჩევნო კამპანია მოითხოვს საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში აგიტატორების დიდი რაოდენობით ჩაბმას. პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ კომუნისტები, კომკავშირელები, ის აგიტატორები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ წინანდელ არჩევნებში და რომლებმაც გაამართლეს ნდობა. აგიტატორებად უნდა გამოვიყენოთ მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, მასწავლებლები, ინჟინრები, აგრონომები, ტექნიკოსები, ექიმები, მეცნიერი მუშაკები.

საარჩევნო კამპანია უკვე შევიდა პასუხსაგებ სტადიაში. ხალხის საუკეთესო შვილები რეგისტრირებული არიან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად. ნდობით აღჭურვილმა პირებმა, პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ყოველმხრივ უნდა განუმარტონ ამომრჩევლებს კანდიდატის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი თავდადება ჩვენი საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავების საქმისათვის.

აგიტაცია რთული ხელოვნებაა. იგი მოითხოვს ღრმა ცოდნას და ჯეროვანი გადაცემის უნარს. ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტკაბინეტებმა, აგიტკოლექტივებმა უნდა გააძლიერონ აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. ხშირად მოვაწყოთ აგიტატორთა სემინარები, ინსტრუქტაჟი, გავაცნოთ და განვუმარტოთ მათ საარჩევნო თემატიკა, დავეხმაროთ საუბრების კარგად ჩატარებაში, მოვაწყოთ საუკეთესო აგიტატორთა გამოცდილების განზოგადება, ყოველმხრივ ავამაღლოთ პოლიტიკური აგიტაციის ხარისხი.

ბოლშევიკური აგიტაციით მოვიცვათ მოსახლეობის უკლებლივ ყველა ფენა. ყველგან — ქალაქებსა და სოფლებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და დაწესებულებებში,—უნდა გაისმოდეს ბოლშევიკი აგიტატორების მართალი, დამრაზმავი სიტყვა.

**გ. ბრეგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

# ჰ ყ ვ ა ვ ი ს  გ უ რ ი ა

## ნ ა ხ ე, გ ა ჰ ხ ე დ ე

ნახე, გაჰხედე! — ჰყვავის გურია,
გაბრწყინვებულა მისი მთაბარი;
გაზაფხულია, გაზაფხულია,
ძველი ოცნება, ძველი ზღაპარი.

ნახე, გაჰხედე! — ოქროს ფერებით
განათებულა სუფსის ხეობა,
გვხვდება სიმდიდრით და სიმღერებით
ბორკილახსნილი შრომის დღეობა.

ნახე, გაჰხედე! — მიწა გურული
აყვავებულა წარმტაც იებით;
რქაჩაგრეხილი და ჩაბურული
ლურჯად ელავენ პლანტაციები.

მიყვარს გურია, ამაღლებული
შრომით, გმირობით, შემოქმედებით,
მიყვარს გურია განახლებული,
ამღერებული მისი ქედები.

მისი მზისგული, მისი წვიმები,
მისი ახალი ტკბილი ურმული,
მისი გაშლილი პლანტაციები,
შრომის ზეიმი კოლმეურნული.

მიყვარს ყანების საგალობელი
ნამოროდევის, ნამარგლულების,
მიყვარს — თვალებში ცრემლის მომგვრელი
მჟახე სურნელი ანაგრულების.

მიყვარს გზისპირის ალვის ჩრდილები
დილის ნიავით გაცოცხლებული,
მიყვარს ღობეზე ტყის ყვავილები
მგზავრის სამზერად აცოცებული.

მიყვარს გურია, მიყვარს გურია
ცამდე გაზრდილი, ამაღლებული,
ტკბილზე ტკბილია, სიხარულია
მისი მთაბარი განახლებული.

## ამიერიდან აქ დავსახლდები

ამიერიდან აქ დავსახლდები,
ჩემი ქვეყანა არის გურია;
სტუმარს, მოყვარეს აქვე დავხვდები,
მე სხვა სამშობლო აღარ მწყურია.

ვილი ბაშლიყით თავდახურული
ვითომც წინაპარს უსახსოვრია;
ვიცხოვრებ როგორც გლეხი გურული,
როგორც ძიმითელ კაცს უცხოვრია.

მაგრამ რა ვუყო ჩემს ტკბილ იმერეთს:
გეგუთს, ვარციხეს, ალისუბანსა;
ოქროს ბაკშვობას, სიზმრებს, სიმღერებს,
ყრმობას, ოცნებებს თავისუფალსა.

ოდიშს რა ვუყო, ზღვისფერ ჰალაკებს...
ისიც მკვიდრია, ისიც ჩემია...
ზუგდიდს, სალხინოს, რუხს, ნოქალაქევს
გავცლივარ, — სული იქ დამრჩენია.

წინ გამფენია, ვით აბრეშუმი,
ტყეთა შრიალში, მთების ალერსში
ტკბილი ქვეყანა — რაჭა-ლეჩხუმი,
შქმერი, ორბელი, ნაკურალეში.

იმ მთებს რა ვუთხრა, ცას შეჰიდებულს,
გაუთავებელ ზვრებს და მაღლარებს...
კახეთს რა ვუყო, კახეთს დიდებულს,
დიდი ალაზნის ცვრიან ბაღნარებს.

ახალ აფხაზეთს მზიურს, ზღვისეულს,
ძველი მესხეთის ცის დამშვიდებას;
ქართლს — საქართველოს დედას ღირსეულს,
აწმყოს, წარსულის, ხვალის დიდებას.

რომელ ერთს ვუთხრა: — შენ მემეტები.
ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,
ყველა ტრამალი, მთები, ქედები
ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.

ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდის,
ჩვენი ხორცია, ჩვენი გულია
და ნუ გაოცებს — თვისკენ გეძახდეს
იქით კახეთი, აქეთ გურია.

## ხ ი დ ი ს თ ა ვ ი

გამოეშურე! ნახე, გაჰხედე!
სულზე ტკბილია ახლა გურია,
მაგრამ ხიდისთავს თუ არ ჩახვედი
ეშხი მთავარი დაკარგულია.

ყველა სოფელი ცას ეჰიდება,
სულ საოცრება არის გურია,
მაგრამ ხიდისთავს აქვს სხვა დიდება: —
იქ ჯუღაშვილის ნაფეხურია.

თავის დღეობა მოსდევს ხიდისთავს,
თავის თარიღი აქვს საფიცარი: —
ცხელი ზაფხული ცხრაასხუთისა,
კობას მშვიდი ხმა დაუვიწყარი.

როცა გმირულად და მკლავგაშლილად
ბოროტს ეკვეთა ძალა კეთილი,
როცა გადასცა ხალხს ჯუღაშვილმა
სიტყვა, ფოლადში გამოკვეთილი.

ჩამოაშორა გმირებს ლაჩრები,
ხელი გაუხსნა მხნეს და გოლიათს,
გურულს უჩვენა გზა გამარჯვების
და დიდ ბრძოლებში გაიყოლია.

ის დღე წაიღო კაცმა გურულმა
ბრძოლის საზომად და საწყაულად,
ის დღე ირჩია ხალხმა გმირულმა
ახალ გურიის დღესასწაულად.

თავის დღეობა უყვარს ხიდისთავს,
თავის თარიღი აქვს საფიცარი: —
ცხელი ზაფხული ცხრაასხუთისა,
კობას მშვიდი ხმა დაუვიწყარი.

ჩამოუქროლებ ახალ გურიას,
ნახავ ხიდისთავს, გვერდს არ ჩაუვლი;
ბედნიერია, მხიარულია
მისი ახალი დღესასწაული.

ნაამბოხარი, ლაღი, მდიდრული
წინ შემოგხვდება ძველი ჰადარი,
შემოგახურებს იმდროინდელი
შუაზაფხულის ცხელი ღადარი.

გადასცურდები წლებში ერთხანად,
ფიქრებს წარსული შეერკინება...
თვალს გადაავლებ უცებ ქვეყანას
და გულს სიამე მოეფინება.

გამოეშურე! ნახე, გაჰხედე!
სულ საოცრება არის გურია,
მაგრამ ხიდისთავს თუ არ ჩახვედი,
ეშხი მთავარი დაკარგულია.

## ნ ა ს ა კ ი რ ა ლ ი

ნასაკირალი... მთასა მყვირალი
ვულკანი, — ახლა დამშვიდებული.
ნასაკირალი, ნასაკირალი
მონობის ტახტთან დაჰიდებული.

უახლოვდები და უცნაური
უცებ აგინთებს სულს ნაღვერღალი,
შემოგესმება ტყეში ხმაური,
ყურში იწივლებს ტყვია ბერდანას.

შემოგესმება ჟღერა რკინისა,
ცეცხლი იელვებს უცებ თვალებში...
ეს ის ხმა არის — ხმა ყიჟინისა
ყრუდ ჩარჩენილი მთის ნაპრალებში.

ეს ის ხმა არის, მთასა მყვირალი,
იმათი სუნთქვა ჩაუხუთველი...
ნასაკირალი, ნასაკირალი
გურიის გმირი ცხრაასხუთელი.

პირველთაგანი იყო გურია,
ეს ქედი იყო პირველთაგანი,
ვინც კობას სიტყვას მიჰყვა გმირულად,
და შეარყია ხალხთა საკანი,

ვინც ბრძოლის ველზე ჰანგით გავიდა,
რუხი ბაშლიყით თავდახურული,
თავისუფლების ფიცხი რაინდი —
ლაღი გურული, ჩვენი გურული,

ვინაც დასცალა ტანჯვის ფიალა,
გაჰყვა ბელადის გმირულ მაგალითს,
ვინაც ცეცხლივით ააფრიალა
დროშა წითელი, პირველთაგანი.

არ დაუხრიათ ქედმოუხრელებს
დროშა გმირული, სისხლში ნავლები,
კობა აწრთობდა ცხრაასხუთელებს —
სტალინს უდგანან შთამომავლები.

სტალინს უდგანან — თავისუფლებას,
გლეხის ოცნებას ტკბილს და ძველისძველს,
სტალინს უდგანან, სტალინს, უკლებლად,
როგორც ჰფიცავდა ბრძენს ლესელიძე.

დგანან შრომაში, ველში, სანგრებში,
დგანან, არ ახსოვთ ფერიც ხუნდისა
და ახალ ხმებში, ახალ ჰანგებში
ისმის სიმღერაც ცხრაასხუთისა.

ნასაკირალი, ნასაკირალი
მონობის ტახტთან დაჰიდებული;
ნასაკირალი, მთასა მყვირალი
ვულკანი, — ახლა დამშვიდებული.

## ახალი ნასაკირალი

ნასაკირალს ნაამბოხარს,
ნაყუმბარევს, ნაიარევს
აღარც ახსოვს ძველი ოხვრა,
იმ ღრუბლებმა ჩაიარეს.

აღარც ახსოვს ძველი დღენი
უკუნეთს რომ შეალია,
ახლა მთაზე თვალუწვდენი
ხეივნების შრიალია.

მთის კალთიდან ჩაის ბუჩქი
დაფერდილი, ალმაცერი,
ჩაის ბუჩქებს ლაითურში
მიჯნურივით გადასცქერის.

მოწინავის გვერდში დგება,
ბუჩქს გასძახის ათასეულს,
მოსავალში ეჯიბრება
ლაითურს და ანასეულს.

ცოცხალია, მცინარეა,
უხვი, ტოტებ-გამოწვდილი, —
ეს გურიის მცენარეა
მისი მიწით გამოზრდილი.

მთას პალმები მოსდებია
მწკრივად რიგში გარანდული,
ეს გურიის მწყობრებია
მებრძოლურად გამართული.

ცოცხალია, ახალია,
ლაღი, ტოტებდახლართული, —
ეს ბერიას ბაღნარია
მისი ხელით დახატული.

ნასაკირალს ნაამბოხარს,
ნაყუმბარევს, ნაიარევს
აღარც ახსოვს ძველი ოხვრა —
იმ ღრუბლებმა ჩაიარეს.

## სისონა დარჩია

მონის ცხოვრებას თოფი არჩია,
ოხრად დასტოვა სახლი მტირალი,
მშვიდი გლეხკაცი იყო დარჩია
გახდა ტყისკაცი, გახდა ფირალი.

გახდა ნადირთან ღამისმთეველი,
ფიცხი, ფიცხელი როგორც ალალი,
ფირალი „ქვეყნის დამაქცეველი“ —
გლეხი საწყალი, გლეხი ვალალი.

ერქვა ყაჩაღი — ტყედ გავარდნილი,
ერქვა — მძარცველი დაუნდობელი,
მაგრამ ვინც იყო მტერი ნამდვილი
კარგად არკვევდა ძველი სოფელი.

კარგად აგნებდა მისი სახნისი,
მაგრამ სად იყო კაცი პატრონი:
ზოგ ყაჩაღს ერქვა „მამასახლისი“
ზოგსაც „სტრაჟი“ და „გუბერნატორი“.

ხოლო ფირალი იყო დარჩია,
გლეხი უჩინო, გლეხი მართალი;
არ უძარცვია, არ უჩარჩნაა,
ტყეშიც ჰყოფნიდა პურის ნათალი.

იყო გლეხკაცი — გახდა ფირალი,
დაუძმობილდა ტყეს და მაჭახლებს,
სოფლის, ამსოფლის ბედზე მტირალი
თავად დასდევდა ნამდვილ ყაჩაღებს.

თავად დამსჯელი იყო დამსჯელთა,
კაცურ ადათზე უმსახურია,
ხალხი ჰფარავდა, ხალხი არჩენდა,
მასთან იბრძოდა მთელი გურია.

თოფი ეჭირათ ხელში გლეხკაცებს,
ხალხში ბუდობდა სული მხედრული,
აქეთ ბორგავდა მუხა-ესტატე,
იქით ბახვი და მელექედური.

ძმას იფარავდა ძმის სიყვარული,
ჭირში გაჰქონდათ ძმებს ერთმანეთი;
გურულს ფირალი ერქვა ფარული,
სოფელს — საფარი, ტყეს ფირალეთი.

ტყე-ღრე ერჩიათ ტანჯვის ატანას,
ტყისკენ ეძახდა ფირალს ფირალი...
და თვითმპყრობელის სატრაპს, სატანას,
ციმბირს მიჰყავდა ნაციმბირალი.

მათი გმირობა, მათი სახელი
ჰანგად ეწერა გლეხკაცს ენაზე
და ძველ დარჩიას სცვლიდა ახალი,
სიმონ დოლიძე და ჯორბენაძე.

მათ წვას ამაოდ არ ჩაუვლია,
სისხლით შეჰღებეს დროშა წითელი.
აი, გურია, ძველი გურია,
ჩვენი გურია გუშინწინდელი.

## ელისე დარჩია

მისი ქონება, მისი არმია
მშობელ გურიის მთა და ბარშია.
გამარჯვებული თავმჯდომარეა,
დიდი გლეხკაცი არის დარჩია.

არის თავკაცი, არის მშრომელი
მისი ძმური ხმა ყველგან გაისმის,
ჰყავს კოლექტივი მილიონერი,
დგას ფრთაგაშლილი სოციალიზმი.

გამოზამთრებულ მიწას აყვავებს
თითქოს აბრეშუმს ჰხატავს მძივებით;
მშობელ გურიის მინდვრებს ჰხატავენ
მისი კრიალა პლანტაციები.

შრომის ეშხშია, მზე თუ მთვარეა,
მზიან დარშია, თუ ავდარშია,
სახელოვანი თავმჯდომარეა,
დიდი გლეხკაცი არის დარჩია.

მორჩა. გათავდა. დღეს მის გვარშიაც
აღარც დევნაა, აღარც მტირალი,
იყო სისონაც გლეხი, დარჩია,
გახდა ტყისკაცი, გახდა ფირალი.

ხოლო ელისე ჯალაბ-სახლობით
სულ სხვა კაცია, სხვა მაგალითი;
მშობლისგან მასაც შთამომავლობით
არ დარჩენია თვალ-მარგალიტი.

ისიც გვარ-ტომი არის გლეხისა,
გუთანს, შავ მიწას ეძმობილება,
მაგრამ შრომის შვილს სულზე ელირსა
ჩვენი საბჭოთა წეს-წყობილება.

და სიდუხჭირეც ოფლით დასძლია,
ნათრევ მაზარით და ძველ ქალამნით
და კოლექტივი ბაღჩად აქცია,
თითქოს დაჰხატა საწერ-კალამით.

ბაღჩად აქცია მისი ტყე-ველი,
იბრძვის, ანათებს მისი გონება,
მას კოლექტივი ჰყავს უძლეველი,
უთვალავია მისი ქონება.

მისი ქონება, მისი არმია
მშობელ გურიის მთა და ბარშია,
სახელგანთქმული თავმჯდომარეა
დიდი გლეხკაცი არის დარჩია.

## პლანტატორები

მოსავალს ჰკრეფენ პლანტატორები,
მიწას ჰფარავენ მათი გუნდები;
მოფენილია ჭილის ქუდებით
მწვანე ველები და მთაგორები.

ქედებს ბუჩქები ლურჯად მოსავენ,
ლურჯად ელავენ სუფსის ჰალები;
ალალანებულ ოქრო მოსავალს
ჰკრეფენ კოლხიდის მარჯვე ქალები.

რიგში მისდევენ ჯგუფებს ჯგუფები,
ბრწყინავს ბარაქით ფართო ეწრები
და ტორტმანობენ ჩაის ბუჩქები
როგორც კოლხიდის ოქროს ვერძები.

მწვანე ფარაში დგანან მშრომელნი,
ფიცხელ შრომაშიც თანატოლები;
ჰკრეფენ მოსავალს კოლმეურნენი —
ახალ გურიის პლანტატორები.

მიწას დაჰხარის გლეხი ალალი,
მისი მხვნელიც და მისი პატრონიც;
არსად ყოფილა, არსად არ არის
ასე მდიდარი სხვა პლანტატორი.

არსად არ არის. იცნობს გურული
მთელი მსოფლიოს ადამიანებს,
ახსოვს ბატონი გულდახურული,
იცნობს მონებს და შავკანიანებს.

ახსოვს მშრომელი, ცრემლ-დანამული,
ვისაც ჰშია და მუდამ სწყურია...
გურულს მიტომაც უყვარს მამული,
გურულს მიტომაც უყვარს გურია.

უყვარს მამული, უყვარს გურია
სხვას რომ არა ჰგავს, ძველს რომ არა ჰგავს,
ცხოველმყოფელი მზე დასდგომია
მისი მოსავლის ხვავს და ბარაქას.

მზე დასდგომია დღისით მთაგორებს,
ღამით ჰყვავიან ცაში მთიები,
გაშლილ ველებზე, ზღვას რომ გაგონებს
ლურჯად ღელავენ პლანტაციები.

ღელავს გურიის ტყე დაბურული,
მწვანე ბუჩქნარი, ვრცელი, უთვლელი
დგას სიმწვანეში ოდა გურული, —
წითელი როგორც ცხრაასხუთელი.

## მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

მათ მანძილი ვერ აშორებს,
ორივ ძმაა ერთ-სოფლელი;
უკრაინა უყვარს „შრომელს“
როგორც კარის მეზობელი.

თუ სხვას ეთქმის, გურულს ეთქმის
მეგობრობის ტრფიალება,
ზეიმია მისთვის ქვეყნის
ჩარხის შემოტრიალება;

ზეიმია გურულისთვის
ახალ მოძმის დამოყვრება;
მისმა ტრფობამ კარგად იცის
შორი გზების დამოკლება.

არ ღალატობს ძმებს გურია,
ტკბილად უძგერს ძმისთვის გული,
სიკვდილამდე ერთგულია
მეგობრობას შეფიცული.

თუ ჩაიდო ძმობა გულში
არ გატყდება როგორც რკინა...
ასეთია სიყვარულში
გურია და უკრაინა.

მაგრამ ახალ მეგობრობას
დიადი აქვს საფუძველი: —
ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ყოფის
დიდი წიგნის თავფურცელი.

ის მტკიცეა, დღეგრძელია
ვით ქვითკირის გამოდგომა,
მისი დიდი სახელია:
შ რ ო მ ა.

უკრაინა უყვარს „შრომელს“
როგორც კარის მეზობელი,
დღეს მათ გზები არ აშორებს
ორივ ძმაა ერთ-სოფლელი.

## ნინოშვილის ჩანჩეთი

აგერ ჩანჩეთი, აგერ ჩანჩეთი
შენი ტანჯული დედულ-მამული...
მე კოლმეურნის სახლთან გავჩერდი;
იფერფლებოდა ცა საღამური.

ახასხასებულ ჩაის ბუჩქნარებს
ეთხოვებოდა მზე დაწურული;
შეწითლებულებს, გადაფურჩქნულებს
ხეხილს შესტრფოდა გლეხი გურული.

შეჰფოფინებდა მწვანე მანდარინს
ძველი მინდორი ნასიმინდარი,
სავსე ეზოში მშვიდად დამდგარი,
სტუმრად მეძახდა კაცი მდიდარი.

იქნებ ეს იყო შენი ძალაძე,
იქნებ ეს იყო შენი კაცია,
იქნებ აქ იდგა, ზღვისფერ ჰალაზე,
შენი მუნჯაძის ქოხი პაწია.

იქნებ დამწვარი და ნამეხარი
განათებული სხივით მწუხრულით
შენაც აქ იდექ, ლაწვებშემხმარი,
შენი გურიით გულდამდუღრული.

მე გავცქეროდი გზას მთა-გორიანს,
და ბედნიერი და გაძარცვული
მეცხადებოდა ორი გურია: —
ჩვენი აწმყო და შენი წარსული.

მეცხადებოდა ორი ჩანჩეთი, —
შენი პატარა დედულ-მამული...
მთის მწვერვალებზე ოქროთ ნაჭედი
იფერფლებოდა ცა საღამური.

და კოლმეურნე გლეხი გურული
ჰიშკარს მიღებდა, კაცი ჩანჩელი;
დაფნის ფოთლებში მზე დაწურული
ლღვებოდა როგორც თაფლის სანთელი.

ვარდისხე სახლთან ცისფრად ჰყვაოდა,
ყუნწით ეჭირა ბევრი სასმური,
ვაშლისხეს ვაზი შემოჰხვეოდა,
როგორც ლეგენდის გველი მაცდური.

მწვანე ალვები, ჯანლონიერნი,
ცას შესდგომოდნენ როგორც სვეტები
და ბაღში თეთრი მაგნოლიები
ტოტებზე ისხდნენ როგორც მტრედები.

აღარ მხვდებოდა ეზო პურძვირად,
ეზო, ნათელი და ჰალებური,
მეგებებოდა წინ მზისუმზირა
ელნათურივით გაჩაღებული.

## გ უ რ ი ა ს

ვარ ავსებული ახალ მხნეობით,
ახალ ოცნებით, მაღალ-მდიდრულით,
ვარ გულმაძღარი შრომის დღეობით,
დედა-ბუნებით გადატვირთული.

ვარ მხარგაშლილი, გალაღებული,
უფრო კეთილი, უფრო ძლიერი,
რომ ასე გნახე ამაღლებული,
დამშვიდებული და ბედნიერი.

და ვამბობ ჩემთვის: — რა მეზმანება,
სასწაულია, სასწაულია...
ამდენ ქარტეხილს, ამდენ წამებას
მართლაც ამაოდ არ ჩაუვლია.

არ დაკარგულა ბრძოლა გმირული,
მთაში გუგუნი, ბარად გრიალი: —
ოქროს ამწიფებს მიწა გურული
წიაღგახსნილი, ბარაქიანი.

და ვეკითხები ყანებს, ბაღნარებს,
ოქროს ფესვიანს და მოსავლიანს:
იქნებ გურიის მიწა ახალი
ჯადოქარია, ჯადოსანია,

რომ ნახანძრალი და ნაომარი,
გაუტეხელი გულით, ბუნებით,
გვაოცებს ნიჭით, გაუგონარით,
გვაოცებს უცნობ სასწაულებით.

და ვეკითხები და ვამბობ თანაც: —
დიდება ცისკრის ამობრწყინებას,
დიდება სტალინს, ბელადს და მამას —
სამშობლო ქვეყნის აღორძინებას,

## პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბერუტმა დარბაზობა გაუმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრებს

**ვარშავა,** 23 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოლესლავ ბერუტმა დარბაზობა გამართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრთა პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები, მთავრობის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ცირანკევიჩის მეთაურობით და იმ დელეგაციების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. დარბაზობის დროს წარმოთქმულ სიტყვაში პრეზიდენტმა ბერუტმა განაცხადა:

უდიდესი სიხარულით მოგესალმებით თქვენ, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანთა დიდი უმეტესობის მისწრაფებისა და ნებისყოფის გამომხატველი ყველაზე მძლავრი მოძრაობის წარმომადგენლებს. მე მოგესალმებით სეიმის, სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის აქ დამსწრე წარმომადგენლების სახელით და მინდა ამავე დროს მთელი პოლონელი ხალხის სახელით გამოვთქვა ულრმესი სიმპათიისა და სოლიდარობის გრძნობები თქვენი კონგრესის გადაწყვეტილებებისადმი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ეს გადაწყვეტილებები შეესაბამება სურვილებსა და რწმენას ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი ხალხის მასებისას, რომლებიც გმობენ ომს და სწყურიათ მშვიდობა, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის ურღვევობისა და სიმტკიცის დასაცავად.

პოლონელი ხალხი ბედნიერია და ამაყობს იმით, რომ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს წილად ხვდა პატივი მიეღო თავის კედლებში, რომლებიც ნანგრევებად იყო ქცეული და რომელთა აღდგენაც ახლა მიმდინარეობს, მშვიდობის დიდი მსოფლიო კონგრესი, ყველაზე უდიდესი ასამბლეა კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენთვის ამ დაუვიწყარი ისტორიული დღეების განმავლობაში 20 მილიონზე მეტი ჩემი თანამემამულე, მოზრდილი და ბავშვი, განიცდიდა თქვენთან, კონგრესის მონაწილეებთან ერთად ყველაზე დიდ აღფრთოვანებას, რომლის განცდაც კი შეუძლია ადამიანის გულს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთან ერთად ამ აღფრთოვანებას განიცდიდა და შემდეგშიც განიცდის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ადამიანთა დიდი უმეტესობა. ეჭვიც კი არავის უნდა შეეძლოს იმაში, რომ მშვიდობის მომხრეთა ვარშავის კონგრესით გამოწვეულ გრძნობათა ძლიერი აზვირთება გადაიქცევა უმაგალითო მძლავრ მისწრაფებად — ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიონ ახალი ომის საფრთხეს.

კაცობრიობის უდიდეს ნაწილს შეგნებული აქვს და გრძნობს უგუნურების საშინელ საფრთხეს, რომელშიც გაავთრებული ხარბი და ზნეობრივად გაველურებული ომის გამჩაღებლები ცდილობენ კვლავ ჩაგდონ ხალხები. იმპერიალისტ მახინჯთა ამ უგუნურების გაუვნებლება ყოველი ადამიანის საზოგადოებრივი და ზნეობრივი მოვალეობაა. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ახალი მძლავრი ძალაა, რომელიც სულ უფრო ძლიერ გავლენას მოახდენს საერთაშორისო ურთიერთობაზე.

საბედისწერო შეცდომას ჩადიან ყველა ისინი, ვინც ჯეროვნად ვერ აფასებს ამ ძალის მნიშვნელობას, რადგან შეუძლებელია ამ ძალის აღმოფხვრა ან პარალიზება. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა თავის ურყევ ძალას მიიღებს ხალხთა მასების სიმპათიის უშრეტი წყაროდან, იმ უბრალო, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტიდან, რომ კაცობრიობის მეტ ნაწილს სწყურია მშვიდობა და სძულს ომი.

ამ მოძრაობის ძალაა ხალხთა მასების ზრდადი შეგნება და სიფხიზლე. მშვიდობის დამცველთა ძალა ისაა, რომ მათი იდეა გამოხატავს სიმართლესა და ზნეობრივ სიწმინდეს, რომ იგი შეესაბამება კაცობრიობის მისწრაფებას განვითარებისადმი, რომ იგი შეესაბამება საზოგადოების ისტორიის პროგრესულ სვლას. ომის გამჩაღებელთა ზრახვები მიმართულია იმისაკენ, რომ უკან მოაბრუნონ ეს სვლა. ომის გამჩაღებელთა ფარისეველური და ცრუ პროპაგანდის ყალბი სახე გარდუვალად მჟღავნდება, როგორც კი მათი მოქმედება უტყუარ ფაქტებს შეეხება.

მაგრამ იდეათა ზნეობრივი ძალა მძლავრი და უძლეველი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ორგანიზებულ შეგნებულ მოქმედებად იქცევა. მშვიდობის იდეა ასეულ მილიონობით ადამიანის ნება-სურვილსა და მისწრაფებას გამოხატავს. მშვიდობის მომხრეთა ამოცანაა გადაიქციონ ასეულ მილიონობით ადამიანის ეს მისწრაფება ორგანიზებულ მოძრაობად, რომელსაც თქვენმა კონგრესმა მისცა ნათელი მითითებანი, თუ როგორ იმოქმედოს. მთელი დედამიწის მეტი წილი ქვეყნების ადამიანთა უდიდეს მასებს სწყურიათ მშვიდობა, მაგრამ ისინი ჯერ არ არიან ორგანიზებული და ვერ უმკლავდებიან ომის გამჩაღებელთა ზეგავლენასა და ტერორს. აგრესიული იმპერიალიზმი უზეშად ახვევს თავს ხალხებს თავის ბატონობასა და ნება-სურვილს. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ამოცანაა გამოაფხიზლოს მასების შეგნებულობა და გააადვილოს მათი ორგანიზებული მოქმედება მშვიდობის დასაცავად, იმპერიალისტური მთავრობების ტერორისა და რეპრესიების მიუხედავად.

ყოველი დიდი ისტორიული, პროგრესული საზოგადოებრივი მიმდინარეობა ვითარდებოდა და იმარჯვებდა დახავსებულობისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ჩვენი ეპოქის უდიდესი პროგრესული მოძრაობაა. არცერთ ჩვენგანს არ უნდა ეეჭვებოდეს ამ მოძრაობის გამარჯვება.

მინდა დაგარწმუნოთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ პოლონელი ხალხი მშვიდობის ურყევი დამცველია და კვლავაც იქნება. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს და დღითიდღე ძლიერდება მუშაობა, რომელიც მიმართულია ჩვენი საწარმოო ძალების, ჩვენი ქალაქების, ფაბრიკების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების დიადი გეგმიანი განვითარების უზრუნველყოფისაკენ. პოლონელი ხალხის მასებს ეს დიადი შემოქმედებითი ღონისძიება მშვიდობის განმტკიცების საერთო საქმეში შეტანილ თავიანთ იდეურ და მატერიალურ წვლილად მიაჩნიათ.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ამოცანაა მასებს ამცნოს სიმართლე, თუ ნამდვილად რა საფრთხე ემუქრება მშვიდობას. ვიბრძვით რა მშვიდობისათვის, ჩვენ ვიბრძვით სიმართლისათვის, ვიბრძვით უსამართლობის წინააღმდეგ, ვიბრძვით სამართლიანობისათვის.

ჩვენ გვწამს, რომ ამ ბრძოლაში გავიმარჯვებთ.

გისურვებთ რა წარმატებას, ძვირფასო მეგობრებო, თქვენს სამართლიან კეთილშობილურ ბრძოლაში, მინდა თქვენი მეშვეობით უმხურვალესი მილოცვა გადავცე მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ხალხს!

გაუმარჯოს მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მსოფლიო მოძრაობას!

## მშვიდობის მომხრეთა მიტინგი ლონდონში

**ლონდონი,** 23 ნოემბერი. (საკდესი). 22 ნოემბერს საღამოს ილინგის (დასავლეთი ლონდონი) საქალაქო რატუშაში გაიმართა მიტინგი, რომელზეც გამოვიდა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის ინგლისელი დელეგატი კონსერვატორი ვუდარდი, რომელიც ეს-ეს არის ვარშავიდან დაბრუნდა.

როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, დარბაზი, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, გაჭედილი იყო ხალხით. მიტინგის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ ვუდარდს.

ვუდარდმა თქვა, რომ „ვარშავის ატმოსფერო გაცილებით უფრო შეესაბამება ქრისტიანობის იდეალებს, ვიდრე ინგლისის ატმოსფერო". „ამ ადამიანებთან ურთიერთობა, — განაცხადა ვუდარდმა, — სიყვარულის, სიმპათიის, გულწრფელობის, მადლობის გრძნობით, ყველა იმ გრძნობით აღუვსებს გულს კაცს, რომლებსაც მე, როგორც ქრისტიანი, დიდად ვაფასებ; შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ იქ ამ გრძნობებს უფრო მეტად აფასებენ.. ეს მე ულრესად მძაფრად ვიგრძენი. მე ვნახე ბევრი ისეთი რამ, რამაც დამარწმუნა, რომ ის, რასაც რუს ხალხსა და კომუნიზმზე მეუბნებოდნენ, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.

მე გავცდი ევროთწოდებულ რკინის ფარდას. პრაღაში ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მომესალმა. ისინი იძახდნენ: „გაუმარჯოს მშვიდობას!". ისინი მშვიდობისადმი მიძღვნილ მშვენიერ სიმღერებს მღეროდნენ. ყვავილებს გვესროდნენ. მე ვნახე ათასობით ჯანმრთელი, ბედნიერი, კმაყოფილი და გულწრფელი ადამიანი. მაგრამ კორესპონდენტმა, რომელიც ჩემთან ერთად ინგლისში მოფრინდა, განაცხადა, რომ მან აქ ნახა არაქათგამოლეული, უბედური, სიცივით გაყინული ადამიანები".

დარბაზში სიცილი გაისმა. ვუდარდმა თქვა: „ეს სასაცილო როდია. ეს საშინელი ტრაგედიაა. ასეთია ინგლისი, და თუ ომი დაიწყო, იგი გამოიწვევს მხოლოდ და მხოლოდ ინგლისი ამერიკის დახმარებით".

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 24 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ ფრონტის ყველა უბანზე სახალხო არმიის ჯარები ბრძოლებს ეწევიან ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ.

ანჯუს (ანსიუ) და ტოკუსენის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში სახალხო არმიის ჯარები ბრძოლას ეწევიან წინანდელ ზღუდეებზე.

აღმოსავლეთ სანაპიროზე ბრძოლებია გავსანის ჩრდილოეთით და გენგსენგის სამხრეთით.

## ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს ჩინეთის საჰაერო საზღვრები

**პეკინი,** 24 ნოემბერი. (საკდესი). მუკდენის გაზეთი „დუნბეიჟიბაო" იუწყება, რომ 20 და 21 ნოემბერს ამერიკის თვითმფრინავებმა 11-ჯერ დაარღვიეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო საზღვრები. 22 ნოემბერს, არასრული ცნობებით, ამერიკელი იმპერიალისტების სამხედრო თვითმფრინავებმა ოთხჯერ დაარღვიეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საზღვრები.

## ტიბეტის განთავისუფლება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მოვალეობაა

**პეკინი,** 23 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ტიბეტელები მხარს უჭერენ ჩინეთის ცენტრალური სახალხო მთავრობის პასუხს ტიბეტის შესახებ ინდოეთის მთავრობის ნოტაზე. ტიბეტელებმა, განაცხადა სამხრეთ-დასავლეთი ჩინეთის ეროვნებების საქმეთა კომისიის წევრმა სუნეპატუნმა, ინდოეთის მთავრობაზე უკეთ იციან, რომ ტიბეტი ჩინეთის ტერიტორიის ნაწილია. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ჩინელი ხალხის შეიარაღებულ ძალებს წარმოადგენს. ტიბეტის განთავისუფლება ამ არმიის მოვალეობაა, და შეუწყნარებელია ტიბეტის განთავისუფლების საქმეში უცხოეთის რაიმე ჩარევა. ტიბეტის მოსახლეობა გულთბილად ეგებება სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებს, და ტიბეტელ ხალხს მხურვალედ სურს რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს თავისი სამშობლოს წიაღს.

პასუხს მხარი დაუჭირა აგრეთვე ცინხაიში მისავალმა ტიბეტის დელეგაციამ, რომელიც ლანჯოუში შეჩერდა. ეს დელეგაცია ცინხაიში ბრუნდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის პირველი წლისთავის გამო პეკინში გამართული დღესასწაულიდან. „ჩვენ, ტიბეტელებს, — განაცხადა დელეგაციის წარმომადგენელმა, — არასოდეს არ გვიფიქრია, რომ ჩინეთის მცხოვრებლები არა ვართ. ჩვენ გვსურს, რომ სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ შესაძლებლობა მისცეს ტიბეტელ ხალხს, რომელიც დიდი ხანია იტანჯება იმპერიალისტური უღლისაგან, დაუბრუნდეს თავის დიდ ოჯახს, თავისუფლებასა და თანასწორობას".

## ჩეხოსლოვაკიელი ხალხი იწონებს მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებს

**პრაღა,** 23 ნოემბერი. (საკდესი). მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებს. ჩეხოსლოვაკიის გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს „მანიფესტი მსოფლიოს ხალხებისადმი", „მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი" და დაწვრილებითი ანგარიში კონგრესის მუშაობის უკანასკნელი დღის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ იმ ამბავს, რომ მებრძოლ მწერალ იულიუს ფუჩიკს სიკვდილის შემდეგ მიეკუთვნა მშვიდობის საპატიო პრემია მისი წიგნისათვის—„რეპორტაჟი სახრჩობელიდან".

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის განცხადება მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავის—სიგემიცუს ვადამდე განთავისუფლების შესახებ

**პეკინი,** 24 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ 23 ნოემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ განცხადება გააკეთა იმის გამო, რომ მაკარტურმა ვადამდე გაათავისუფლა მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავე სიგემიცუ. განცხადებაში ნათქვამია: „1950 წლის 8 ნოემბერს მაკარტურის შტაბმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავე სიგემიცუ, რომელსაც პატიმრობის ვადა მთლიანად არ მოუხდია, განთავისუფლებულ იქნება 21 ნოემბერს. ამ უკანონო მოქმედებამ ჩინელი ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი 11 მაისისა და 25 აგვისტოს თავისი ნოტების შემდეგ სსრ კავშირის მთავრობამ 19 ნოემბერს კვლავ გაუგზავნა ამერიკის მთავრობას ნოტა, რომელშიც გაიმეორა თავისი თვალსაზრისი და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მაკარტურის მიერ მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავის სიგემიცუს უკანონოდ განთავისუფლებისათვის და მოითხოვა, რომ მაკარტურმა გააუქმოს თავისი 1950 წლის 7 მარტის № 5 ცირკულარი. ჩინელი ხალხი გადაჭრით უჭერს მხარს ამ სწორ პოზიციას, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ დაიკავა.

მას შემდეგ, რაც მაკარტურმა გამოსცა 7 მარტის № 5 უკანონო ცირკულარი, მე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით მხარი დავუჭირე საბჭოთა მთავრობის მტკიცე მოთხოვნებს, რაც ჩამოყალიბებულია მისი 11 მაისის ნოტაში: ამ ნოტაში სსრ კავშირის მთავრობამ დაგმო შორეული აღმოსავლეთისათვის შექმნილი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენის დარღვევა მაკარტურის მიერ და განუცხადა ამერიკის მთავრობას, რომ მან უნდა შეაჩეროს მაკარტურის ეს უკანონო მოქმედება, რომელიც მის რწმუნებათა ფარგლებს სცილდება.

როგორც ყველასათვის ცნობილია, სიგემიცუ არის ჯალათი, რომელიც ჩინელ ხალხს კლავდა. იგი ერთი მათგანია, ვინც უშუალოდ გეგმავდა, რომ იაპონიის ფაშიზმს აგრესიული ომი გაეჩაღებინა ჩინეთში 1931 წლის 18 სექტემბერს, და ერთ-ერთი მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავეა, რომელმაც პასუხი უნდა აგოს იაპონიის ფაშიზმის მიერ ჩინეთსა და წყნარ ოკეანეში აგრესიული ომის გაჩაღებისათვის. ჩინელი ხალხი არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდება, რომ ამერიკის იმპერიალიზმის წარმომადგენელი მაკარტური აქეზებდეს იაპონიის ფაშიზმს აგრესიის განახლებისათვის.

ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უგულებელყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის 15 მაისის საქვეყნო განცხადება და უარყო სსრ კავშირის მთავრობის სამართლიანი მოთხოვნები, რაც მოყვანილია მის 11 მაისისა და 25 აგვისტოს ნოტებში, ცხადყოფს, რომ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა და მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავის სიგემიცუს ვადამდე განთავისუფლება არა მარტო მაკარტურის, არამედ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უკანონო აქტია. მე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით მტკიცედ ვაცხადებ, რომ ცენტრალური სახალხო მთავრობის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მაკარტურმა უკანონოდ გაათავისუფლა იაპონელი სამხედრო დამნაშავენი, მათ შორის სიგემიცუ, სავსებით ემთხვევა სსრ კავშირის მთავრობის თვალსაზრისს. ჩვენ არ ვცნობთ უკანონო აქტებს, რომლებიც გამოიხატება იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა ვადამდე განთავისუფლებით მაკარტურის 7 მარტის ცალმხრივი ბრძანების შესაბამისად და ამერიკის შეერთებული შტატების დასტურით და სიგემიცუს — ერთ-ერთი მთავარი იაპონელი სამხედრო დამნაშავის განთავისუფლებით, რომელსაც ჯერ მთლიანად არ მოუხდია სასჯელის ვადა. ამავე დროს ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ამერიკის მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მაკარტურის მიერ იაპონელი სამხედრო დამნაშავეების, მათ შორის სიგემიცუს უკანონოდ ვადამდე განთავისუფლების იმ სერიოზული შედეგებისათვის, რომლებიც ზიანს აყენებენ საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნების საქმეს, და რომ ჩვენ სრულ უფლებას ვიტოვებთ მოვითხოვოთ კანონის შესაბამისად დასაჯონ იაპონელი სამხედრო დამნაშავენი, მათ შორის სიგემიცუ".

## ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგების გამო

**ნიუ-იორკი,** 24 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო აპარატი, რომელიც უოლ-სტრიტის დაქირავებული აგენტებისაგან შედგება, აჯამებს რა ამერიკის შეერთებულ შტატებში 7 ნოემბერს მომხდარი არჩევნების შედეგებს, ყოველნაირად ცდილობს მიჩქმალოს იმ ხმების ნამდვილი რაოდენობა, რაც პროგრესული პარტიის კანდიდატებმა მიიღეს სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილში. მაგალითად, კალიფორნიის შტატში პროგრესული პარტიის მომხრეებმა დიდი დრო უნდა დახარჯონ კენჭისყრის შედეგების შესასწორებლად იმისათვის, რომ თუნდაც არაოფიციალური ცნობები მიიღონ მათი კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობის შესახებ.

მაგრამ არასრული არაოფიციალური მონაცემებიც კი მოწმობენ, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ რეპრესიების, მოსყიდვისა და თაღლითური მაქინაციების ატმოსფეროს მიუხედავად, რომელშიც არჩევნები მიმდინარეობდა, ხმა მისცა პროგრესული პარტიის კანდიდატებს, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიას ყველგან აწყობდნენ მშვიდობისათვის ბრძოლის, როგორც ამერიკელი ხალხის წინაშე დასახული მთავარი ამოცანის, ლოზუნგით.

მაგალითად, კალიფორნიის შტატში, არასრული მონაცემებით, პროგრესული პარტიის კანდიდატებმა მიიღეს ხმების საერთო რაოდენობის 15 პროცენტი, ე. ი. დაახლოებით 300 ათასი ხმა. ნიუ-იორკში მათ მიიღეს 200 ათასი ხმა.

ქალაქ ბიუტში (მონტანის შტატი) პროგრესული პარტიის კანდიდატმა შტატის საკანონმდებლო კრებაში, სამთამადნო მრეწველობის მუშათა და მდნობელთა პროფკავშირის წევრმა გოფორტმა მოაგროვა 4.400-ზე მეტი ხმა. ეს შეადგენს იმ ხმების ორმოც პროცენტს, რაც მიიღო გამარჯვებულმა კანდიდატმა, რომელმაც 10.000-ზე ცოტათი მეტი ხმა მოაგროვა. ქალაქ ჯერსისიტში, სადაც თვით არჩევნების დღეს იწყო მოქმედება კანონმა, რომელიც მოითხოვს კომუნისტური პარტიის წევრთა რეგისტრაციას პოლიციაში, კომპარტიის კანდიდატმა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ თანამდებობაზე მიიღო 3.200 ხმა, მაშინ კი იმავე რაიონში კომპარტიის კანდიდატმა 914 ხმა მიიღო.

პროგრესული პარტიის წინასაარჩევნო კამპანია მეტად გაძნელებული იყო. დამახასიათებელია ილინოისის შტატში შექმნილი მდგომარეობა, სადაც პროგრესულ პარტიას დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდა ხელმოწერის შესაგროვებლად, რათა პარტიას მიეღო თავისი კანდიდატის წამოყენების ნებართვა. მაგრამ უკანასკნელ წუთში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც პროგრესულ პარტიას უკრძალავდა კანდიდატების წამოყენებას მთელ შტატში და ნებას რთავდა წამოეყენებინა მხოლოდ ორი კანდიდატი ქალაქ ჩიკაგოში: პარქსი-კონგრესის წევრობის კანდიდატად და მაკორდი-შტატის საკანონმდებლო კრების წევრობის კანდიდატად.

გაზეთი „დეილი უორკერი" წერდა, რომ „იმ რაიონებში, სადაც კენჭი იყარეს პარქსმა და მაკორდმა, პოლიტიკური მესვეურები წინანდელზე უფრო მეტად მიმართავდნენ მოსყიდვასა და მოტყუებას". მეთვალყურენი აღნიშნავდნენ, რომ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იდგნენ საარჩევნო უბნების შესასვლელთან ან ხმისმისაცემ შენობაში და 2-დან 10 დოლარამდე ქრთამს სთავაზობდნენ ამომრჩევლებს თვითეულ ხმაში.

ფლორიდის შტატში, სადაც სენატში დამოუკიდებელ კანდიდატად, რომელსაც მხარს უჭერდა პროგრესული პარტია, კენჭს იყრიდა პროგრესული მწერალი სტეტსონ კენედი, მოხელეებმა საერთოდ უარი თქვეს მისთვის მიცემული ხმების დათვლაზე და არჩევნების დღეს დააპატიმრეს კენედი.

## შარკის გათავისუფლება

**სიდნეი,** 24 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სიდნეის საპყრობილიდან გაათავისუფლეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი შარკი.

## გამოხმაურება ირანში საბჭოთა კავშირ-ირანის სავაჭრო შეთანხმების დადებაზე

**თეირანი,** 23 ნოემბერი. (საკდესი). როგორც თეირანის გაზეთი „დადი" იუწყება, საბჭოთა კავშირ-ირანის სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერის დღეს ირანის ჩრდილოეთი რაიონებიდან მიღებულ იქნა ხუთი ათასი მისასალმებელი დეპეშა ამ შეთანხმების დადების გამო.

გაზეთის სიტყვით, ირანის პრემიერ-მინისტრმა რაზმარამ, მოახსენა რა ეს შაჰს, განუცხადა მას, რომ შეთანხმების მოწონება ხალხის მიერ აიხსნება ეკონომიური სიძნელეებით, რასაც განიცდის ჩრდილოეთი რაიონების მოსახლეობა, აგრეთვე იმითაც, რომ ხალხს არ სურს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუარესება.

## „ბორის გოდუნოვი" ბუქარესტის საოპერო თეატრის სცენაზე

**ბუქარესტი,** 24 ნოემბერი. (საკდესი). ბუქარესტის საოპერო თეატრში დაიდგა მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი". სპექტაკლს დაესწრნენ პრემიერ-მინისტრი პეტრუ გროზა, ტეოხარი-ჯორჯესკუ და მთავრობის სხვა წევრები, სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ვ. ზოტოვი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ბორის გოდუნოვის როლში დიდი წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ო. რეიზენი.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ნიუ-იორკს ჩავიდა

**ნიუ-იორკი,** 24 ნოემბერი. (საკდესი). ნიუ-იორკში ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უშიშროების საბჭოს სხდომებში კუნძულ ტაივანზე შეიარაღებული შეჭრის საკითხის გამო.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში ი. ა. მალიკი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

## თემთა პალატის ლეიბორისტულ წრეებში

**ლონდონი,** 24 ნოემბერი. (საკდესი). ამ დღეებში პარლამენტის 22 ლეიბორისტმა წევრმა შემდეგი რეზოლუცია შეიტანა თემთა პალატაში:

„თემთა პალატა, იღებს რა მხედველობაში, რომ ინგლისის მთავრობამ მიუღებლად მიიჩნია რუსეთის წინადადებანი ოთხი დიდი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ, მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად გამოიჩინოს ინიციატივა და შეიტანოს ალტერნატიული წინადადებანი როგორც ასეთი თათბირის მოწვევის საფუძველი".

შემდეგ ამ რეზოლუციას შეუერთდა კიდევ პარლამენტის 13 წევრი.

21 ნოემბერს თემთა პალატაში პარლამენტის წევრ 40 ლეიბორისტის სახელით შეტანილ იქნა ახალი რეზოლუცია. რეზოლუცია მოითხოვს რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო და მთავრობამ აიღოს ისეთი პოლიტიკური გეზი, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობას, გაიჩინებს დიდ სახელმწიფოთა ძირითადი უთანხმოების გადაჭრის საშუალებებს და სხვ.

ხსენებული რეზოლუციები მოწმობენ, რომ პარლამენტის წრეებში უკმაყოფილებაა ლეიბორისტული მთავრობის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის გამო.

**ხუთშაბათს, 30 ნოემბერს, დილის 11 საათზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.**

**თათბირზე საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

### დღეს თეატრებსა და კინოებში

**ოპერისა და ბალეტის** — „ქეთო და კოტე" (დილით), „დაუპატიჟებელი სტუმრები" (საღამოს მე-12 აბ.); **რუსთაველის სახელობის**—„ბარათაშვილი" (დილით), „უჩა უჩარდია" (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი" (დილით), „სანაპიროზე" (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — „ორი ბანაკი" (დილით), „დაკარგული სახლი" (საღამოს, მე-15 აბ.); **ხომხური დრამის** — „მანი" (დილით), „ყაჩაღები" (საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ" (დილით), „მეგობრები" (საღამოს, ფილარმონიის საზამთრო თეატრში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „პატარა მეთხილამურეები" (მე-11 აბ. 10 ს.), „ჩვენი ადამიანები" (36-ე აბ. 2 ს. მე-2 აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ვოგონები" (10 ს. და 2 ს.), „ესპანელები" (8 ს.); **სანკულტურის** — „ორი ბედნიერება"; **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — ლექცია-კონცერტი „რა არის ოპერა" (მე-2 და მე-5 აბ. 3 ს.); **საცირკო**—დიდი საცირკო წარმოდგენა (დილით და საღამოთი).

* * *

**რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „ოქტომბერი", „სპარტაკი", „იხანი", 26 კომისრის სახელობის** — „გაზაფხული საკენში". **„თბილისი", „დიდუბე"** — „ბალერინას ბედი". **„კომკავშირელი"** — „საყვარელი არიები". **„კოლმეურნე"** — „ვაჟიშვილები".

სამგორწყალმშენის სატრანსპორტო კანტორის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ი. გაბუნიას მისი დედის **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

დისწულები ჯემალ და ლელი ბიწაძეები, ვედა და გელა მგელაძეები იუწყებიან **ევგენი დიმიტრის-ძე კაჭარავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს **ასპირანტურაში მიღებას 1950-51 სასწავლო წლისათვის** შემდეგ სპეციალობებზე:

ფიზიოლოგია — 2, პათოლოგიური ფიზიოლოგია — 2, ბიოქიმია — 1, ბიოლოგია — 1, პედიატრია — 1, ჰისტოლოგია — 1.

ასპირანტურაში მიიღებიან ის პირები, რომელნიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენაში და ერთ უცხო ენაში და არიან არა უმეტეს 30 წლის ასაკისა.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების საბუთი, ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა ათი დღე გამოცხადების დღიდან. ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სამეცნიერო ნაწილში (მელიქიშვილის ქ. № 16).

**თბილისის ქალაქის ლომბარდის სამმართველო** აცხადებს თავისი კლიენტების საყურადღებოდ, რომ დაგირავებული და შესანახად მიღებული ნივთების მთლიან ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით ლომბარდის ყოველგვარი ოპერაციები შეწყდება ი. წ. 1-XII-დან 20-XII-მდე ჩათვლით.

შვილები ირაკლი, ვახტანგ, რძლები სონია, გალია, ძმა პარმენ, დები მინადორა, ვარა იუწყებიან, რომ 26-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **გიორგი ევგენის-ძე ბოსტოღანაშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე ეკატერინე, შვილი ქეთევან იუწყებიან **ვლადიმერ ზაქარიას-ძე კრაწაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-XI, 7 ს. გამოსვენება 28-XI, 5 ს. დუშეთის, 19.

თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება იუწყება ფიზიო-თერაპიული პოლიკლინიკისა და სტაციონარის მთავარი ექიმის პროფესორ **მიხეილ ოთარის-ძე ზანდუკელის** გარდაცვალებას.

თედო, ნინო, მანანა, ვაჟა, ვალია ბაკურაძეები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. დარაშვილს მისი დედის **ფეფენა ილიას ასულ დარაშვილის** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 28-XI კარდანახში (გურჯაანის რაიონი).

ლ. ჯანჯღავა, შ. რამიშვილი, ა. იივაზოვი, შ. ვარდოსანიძე, ნ. ხატიაშვილი, ო. ადამია, თ. მაისურაძე, ზ. კაბელი, შ. ოზიაშვილი, დ. მეიშვილი, დ. შელეგია, ა. კვიცარიძე, გ. ღონღაძე იუწყებიან გ. გვერდწითელის დედის **მარიამ ნოშრევანის ასულ გვერდწითელის** გარდაცვალებას.

1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმები თანაგრძნობას უცხადებენ თ. მაკალათიის მისი დის **ნინო ანტონის ასულ მაკალათია-დავიდოვას** გარდაცვალების გამო.

და ლამარა, სიძე ალიოშა ბიჭაშვილები იუწყებიან, რომ 26-XI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ნათელა გიორგის ასულ კოტაშვილის** პანაშვიდი.

საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების პრეზიდიუმი იუწყება ამავე პრეზიდიუმის წევრის პროფესორ **მიხეილ ოთარის-ძე ზანდუკელის** გარდაცვალებას.

საქართველოს კინოფიკაციის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ლებანიძეს მისი მამის **ხუფე ფირანის-ძე ლებანიძის** გარდაცვალების გამო.

შვილები ვალიდა, საშა, ზინა, ნიკოლოზ, სერგო, ალექსანდრე, რძლები თინა, ელენე, შვილიშვილები თამარ, ნუნუ, დალი, ლინა, მანანა იუწყებიან **ლირსა დიმიტრის ასულ ვაშაკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-XI, ს. დიდ-ჯიხაიშში.

„სამგორწყალმშენის" პირველი სამშენებლო კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. გაბუნიას მისი დედის **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

დედა ფოტინე, მეუღლე ეკატერინე, შვილები ნინო, ვალოდია, რძალი ლენა რუხაძეები, ელენე, ცავრინა შარიქაძეები იუწყებიან **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე რუხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-XI, 7 ს. გამოსვენება 28-XI. 3½ ს. პაპანინის, 32.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია და პროფორგანიზაცია იუწყებიან პროფესორ **მიხეილ ოთარის-ძე ზანდუკელის** გარდაცვალებას.

ნ. ციციშვილი, მ. ბექაია, შ. შარაშენიძე, ვ. კოკოჩაშვილი, ა. ნოღაიდელი, ვ. ხუხია, გ. ი. ციციშვილი, ა. ვარდუკაძე, კლ გამსახურდია, ო. ჭანუყვაძე, ქ. ძაგნიძე, თ. კიპარენკო, მ. ხუნდაძე და ვ. კობიძე თანაგრძნობას უცხადებენ ი. გვერდწითელს მისი დედის **მარიამ ნოშრევანის ასულ გვერდწითელის** გარდაცვალების გამო.

თ. სიხარულიძე, რ. სუხიაშვილი, მანია, გიორგი ჩიტაიები, კირა, აპოლონ კიწურაშვილები, ნუცა, სიმონ ციცქიშვილები, ალ. ღლონტი თანაგრძნობას უცხადებენ ი. გვერდწითელს მისი დედის **მარიამის** გარდაცვალების გამო.

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ ი. გვერდწითელს მისი დედის **მარიამის** გარდაცვალების გამო.

ა. შულდინგერი, ა. რამიშვილი, დ. მანჯგალაძე, ლ. ცინცაძე, ო. ქორჩილავა, ნ. ადეიშვილი, ნ. ხორავა, გ. იოსელიანი, ბ. გრინბერგი, ი. ღლონტი, გ. ღლონტი, ი. ასლანიანი, ა. დიმაკსიანი, ა. გრიგორიანი თანაგრძნობას უცხადებენ ა. გაბუნიას მისი დედის **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

ძმა პროკოფი, რძლები ზინაიდა, ელენე, ეთერ, ძმისწულები ბორის, ოთარ, გივი და შოთა იუწყებიან **ნიკოლოზ სტეფანეს-ძე რუხაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27-XI, 7 ს. გამოსვენება 28-XI, 3½ ს. პაპანინის, 32.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ი. გვერდწითელს მისი დედის **მარიამ ნოშრევანის ასულ გვერდწითელის** გარდაცვალების გამო.

ი. გოგებაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის ადმინისტრაცია, პედპერსონალი და ტექნიკური თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ი. გვერდწითელს მისი დედის **მარიამ გვერდწითელის** გარდაცვალების გამო.

გ. კოკაია, ვ. ოჩიგავა, ო. გაგუა, ვ. უჩანეიშვილი, ვ. საჯაია, ლ. კიკნაძე, კ. რეკვავა, გ. მელიქია, ვ. გუჯაბიძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. გაბუნიას მისი დედის **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

შ. აბაიშვილი, ა. ივანიძე, ა. აბზიანიძე, ს. მჟავანაძე, ს. წულაძე, ნ. საბაშვილი, ა. სიმარგულიანი, ა. გოკლიძე, ლ. ჭიჭინელიძე, ა. ასათიანი, ვ. ნიკოვოსოვი, ი. გოგავა თანაგრძნობას უცხადებენ გ. გვერდწითელს მისი დედის **მარიამის** გარდაცვალების გამო.

დედა მატრონა, ქმარი ალიოშა, შვილები მედეა, ნანული და გურამი მღებრიშვილები, და კლავდია დევიძე, დისწული ადიკო იუწყებიან **მანია ნესტორის ასული დევიძე-მღებრიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XI ქ. ბათუმში, ბუდიონის 8.

ვ. მაისურაძე, ქ. ჩიკაშვილი, ქ. ლაპარტყავა, თ. კუჭაიძე, მ. გვენეტაძე, ე. სიგუა, ს. კეთილაძე, ლ. კოშკაძე, კ. კარსელაძე თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი და თამარ დავიდოვებს მათი დედის **ნინო დავიდოვას** გარდაცვალების გამო.

სამგორწყალმშენის მესამე სამშენებლო კანტორის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ა. გაბუნიას მისი დედის **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექცია, პარტბიურო და ადგილკომი იუწყებიან პროფესორ **მიხეილ ოთარის-ძე ზანდუკელის** გარდაცვალებას.

ვ. კობახიძე, ა. მიგრიაული, ა. კორახაშვილი, ი. მირიანაშვილი, გ. ბოჭორიშვილი, ვ. გოროგობიანი, ლ. გიგიტაშვილი, ლ. იამანიძე, მ. როდოფინოვა თანაგრძნობას უცხადებენ ა. გაბუნიას მისი დედის **ანასტასია ბესარიონის ასულ გაბუნიას** გარდაცვალების გამო.

„სამგორწყალმშენის" სამშენებლო მექანიზაციის კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ა. ოჩიგავას დედის **მარგალიტას** გარდაცვალებას.

სადგურ თბილისის სანიტარული ინსპექციის, მედპუნქტის და სანიტარული ეპიდემიოლოგიური სადგურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ო. ჭავჭანიძეს მისი დედის **ნინო მაკალათია-დავიდოვას** გარდაცვალების გამო.

ს. ჯიბაშვილი, ვ. ცომაია, ი. ნასარიძე, გ. ლორთქიფანიძე, ვ. გვალია, ს. გომართელი თანაგრძნობას უცხადებენ გ. გვერდწითელს მისი დედის **მარიამის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-16-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-44, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგესა და გამომშვებების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 17172